# სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების ატვირთვის ინსტრუქცია

სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების ატვირთვა ხდება შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.eservices.rs.ge) მეშვეობით მომხმარებლის პირადი ანგარიშიდან.






ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადებებზე გადასვლის შემდგომ, აირჩიეთ ველი „ახალი განცხადების რეგისტრაცია," შემდგომ - „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება."






განცხადების ველების ველების შევსების დაწყებამდე, აუცილებებელი არის განცხადების თავში მონიშნულ იქნას შესაბამისი პროდუქტი (მაგ. ცემენტი, ელ. კაბელი, არმატურა, პლ. მილი, თაბაშირ-მუყაო).

პროდუქტის არჩევის შემდეგ მომხმარებელმა აუცილებელია შეავსოს შესაბამისი ველები, მიუთითოს ინფორმაცია პროდუქტზე, მწარმოებელზე, ექსპორტიორზე და ა.შ.



განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტი (თვისებების დეკლარაცია, სერტიფიკატი, ტექნიკური საბუთი და ა.შ)

ფაილის მიბმა ხდება შემდეგნაირად:




პროდუქტთან დაკავშირებული ველების შევსების შემდგომ, მომხმარებელი ავსებს იმპორტიორის შესახებ საინფორმაციო ველებს, ადასტურებს იმპორტის წინასწარი შეტყობინების განაცხადში მითითებული ინფორმაციის უტყუარობას და „გაგზავნა“ ღილაკზე დაჭერით ასრულებს და აგზავნის იმპორტის წინასწარ შეტყობინებას.

